საქართველოს მთავრობის

დადგენილება №602

2021 წლის 22 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/09/2015, 430210000.10.003.018862) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველი მუხლის:

ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის კოეფიციენტები განისაზღვრება:

ა) ქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების პირველიდან მე-8 კლასის ჩათვლით:

ა.ა) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 1.72-ით;

ა.ა^{1}) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.36-ით;

ა.ბ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 1.71-ით;

ა.ბ^{1}) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 2.35-ით;

ა.გ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 1.70-ით;

ა.გ^{1}) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 2.30-ით;

ა.დ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 1.66-ით;

ა.დ^{1}) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 2.26-ით;

ა.ე) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 1.64-ით;

ა.ე^{1}) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის,

რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 2.22-ით;

ა.ვ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 1.61-ით;

ა.ვ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 2.18-ით;

ბ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების პირველიდან მე-8 კლასის ჩათვლით:

ბ.ა) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 1.68-ით;

ბ.ა[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.33-ით;

ბ.ბ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 1.66-ით;

ბ.ბ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 2.32-ით;

ბ.გ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 1.65-ით;

ბ.გ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 2.26-ით;

ბ.დ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 1.60-ით;

ბ.დ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 2.22-ით;

ბ.ე) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 1.57-ით;

ბ.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 2.18-ით;

ბ.ვ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 1.56-ით;

ბ.ვ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 2.15-ით;

გ) საჯარო სკოლის მე-9-დან მე-12 კლასის ჩათვლით:

გ.ა) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.04-ით;

გ.ა[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.79-ით;

გ.ბ) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 2.03-ით;

გ.ბ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 2.78-ით;

გ.გ) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 2.02-ით;

გ.გ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 2.72-ით;

გ.დ) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 1.98-ით;

გ.დ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 2.66-ით;

გ.ე) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 1.94-ით;

გ.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 2.63-ით;

გ.ვ) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 1.89-ით;

გ.ვ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 2.58-ით.

4. ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი განისაზღვროს ერთ მოსწავლეზე გათვლილი საბაზო ფინანსური ნორმატივისა და შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლით და დამტკიცდეს შემდეგი ოდენობით:

ა) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის პირველიდან მე-8 კლასის ჩათვლით:

ა.ა) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 516 ლარით;

ა.ა[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 708 ლარით;

ა.ბ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 513 ლარით;

ა.ბ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 705 ლარით;

ა.გ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 510 ლარით;

http://www.matsne.gov.ge

ა.გ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 690 ლარით;

ა.დ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 498 ლარით;

ა.დ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 678 ლარით;

ა.ე) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 492 ლარით;

ა.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 666 ლარით;

ა.ვ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 483 ლარით;

ა.ვ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 654 ლარით;

ბ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის პირველიდან მე-8 კლასის ჩათვლით:

ბ.ა) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 504 ლარით;

ბ.ა[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 699 ლარით;

ბ.ბ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 498 ლარით;

ბ.ბ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 696 ლარით;

ბ.გ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 495 ლარით;

ბ.გ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 678 ლარით;

ბ.დ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 480 ლარით;

ბ.დ[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 666 ლარით;

ბ.ე) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 471 ლარით;

ბ.ე[1]) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269

მოსწავლის ჩათვლით – 654 ლარით;

ბ.ვ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 468 ლარით;

ბ.ვ^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 645 ლარით;

გ) საჯარო სკოლების მე-9-დან მე-12 კლასის ჩათვლით:

გ.ა) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 612 ლარით;

გ.ა^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 837 ლარით;

გ.ბ) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 609 ლარით;

გ.ბ^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 834 ლარით;

გ.გ) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 606 ლარით;

გ.გ^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 816 ლარით;

გ.დ) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 594 ლარით;

გ.დ^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 798 ლარით;

გ.ე) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 582 ლარით;

გ.ე^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 789 ლარით;

გ.ვ) საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 567 ლარით;

გ.ვ^1) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 774 ლარით.“;

ბ) მე-7 და 7^1 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის სტანდარტული ვაუჩერის გარდა განისაზღვრება საბაზო დაფინანსება. კერძოდ, ამ მუხლის მე-4 პუნქტის:

ა) „ა.ა“ და „გ.ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 71 500.00 ლარით;

ა^1) „ა.ა^1“ და „გ.ა^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 90 500.00 ლარით;

ბ) „ა.ბ“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 68 000.00 ლარით;

ბ^1) „ა.ბ^1“ და „გ.ბ^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 84 000.00 ლარით;

გ) „ა.გ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 62 500.00 ლარით;

გ^1) „ა.გ^1“ და „გ.გ^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 77 000.00 ლარით;

დ) „ა.დ“ და „გ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 53 000.00 ლარით;

დ^1) „ა.დ^1“ და „გ.დ^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 68 500.00 ლარით;

ე) „ა.ე“ და „გ.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 47 000.00 ლარით;

ე^1) „ა.ე^1“ და „გ.ე^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 59 500.00 ლარით;

ვ) „ა.ვ“ და „გ.ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 40 500.00 ლარით;

ვ^1) „ა.ვ^1“ და „გ.ვ^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 53 000.00 ლარით.

7^1. არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის სტანდარტული ვაუჩერის გარდა განისაზღვრება საბაზო დაფინანსება. კერძოდ, ამ მუხლის მე-4 პუნქტის:

ა) „ბ.ა“ და „გ.ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 70 000.00 ლარით;

ა^1) „ბ.ა^1“ და „გ.ა^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 88 500.00 ლარით;

ბ) „ბ.ბ“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 66 500.00 ლარით;

ბ^1) „ბ.ბ^1“ და „გ.ბ^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 81 500.00 ლარით;

გ) „ბ.გ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 60 000.00 ლარით;

გ^1) „ბ.გ^1“ და „გ.გ^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 73 500.00 ლარით;

დ) „ბ.დ“ და „გ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 50 500.00 ლარით;

დ^1) „ბ.დ^1“ და „გ.დ^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 65 000.00 ლარით;

ე) „ბ.ე“ და „გ.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 44 500.00 ლარით;

ე^1) „ბ.ე ^{1}“ და „გ.ე^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 57 000.00 ლარით;

ვ) „ბ.ვ“ და „გ.ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 38 000.00 ლარით;

ზ) „ბ.ვ^1“ და „გ.ვ^1“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 50 500.00 ლარით.“;

გ) მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ შერჩეულ საჯარო სკოლებს, ამ დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, ყოველთვიურად გამოეყოფა დამატებითი დაფინანსება საჯარო სკოლის

ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული თითოეული შტატგარეშე მოსამსახურის შრომის ანაზღაურებისათვის, სკოლის ექიმის შემთხვევაში – 600 ლარის, ხოლო სკოლის ექთნის შემთხვევაში – 500 ლარის ოდენობით და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანისთვის – დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.“;

დ) მე-17 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით, სამინისტროს მიერ შერჩეულ საჯარო სკოლებს, ამ დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, ყოველთვიურად გამოეყოფათ დამატებითი დაფინანსება, საჯარო სკოლაში ბილინგვური სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებისათვის – 620 ლარის ოდენობით და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანისთვის – დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.“;

ვ) მე-18 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 პუნქტი:

„19. საჯარო სკოლები, ამ დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, შეიძლება, დაფინანსდეს მიზნობრივი პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში.“.

2. მე-2 მუხლი ამოღებულ იქნეს.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**